წინასაყრილოზო დღეთა მაჯისცემა

სამხრეთ ოსეთი საიუბილეო ვახტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 იანვარი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 6 (14916)

პარტიული კონფერენციის მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ საკითხი დააყენოს, მიაქციოს მას პარტიის ყურადღება და მოუწოდოს პარტიის ყველა წევრს სამუშაოდ. ჩვენი საერთო პროგრამა უნდა განხორციელდეს. ანგარიში უნდა მივსცეთ ჩვენს თავს სამეურნეო მშენებლობის უფრო სწორ საფუძველზე დასაყენებლად. ეს ამოცანა მოითხოვს მეტ სისტემატურობას, მეტ ორგანიზატორულ უნარს.

ვ. ი. ლენინი.

კომუნისტები ავანგარდში

ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანებს, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — როცა მას უნარი შეხწევს არ მოსწყდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მასას, როცა მას მართლაც შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მასას. და სწორედ საქართველოს მშრომელებმა თავისი სახელოვანი ავანგარდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ დაიგერგვინეს 1970 წელი, ისინი გამარჯვებებით შეეგებნენ 1971 წელს. ამჟამად საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

შრომითი აღმავლობაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც. დღეს „კომუნისტში“ მოთავსებული მასალები ეძღვნება სამხრეთ ოსეთის კომუნისტთა მოდვაწეობას, იმას, თუ როგორ რაზმავენ მშრომელებს პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის შესახვედრად, რით მოვიდნენ ისინი თავიანთ XXXII საოლქო პარტიულ კონფერენციაზე.

როცა საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, სამხრეთ ოსეთშიც მოვიდა დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება. ოსი ხალხის ცხოვრებაში, საქართველოს მიწა-წყალზე დაიწყო სრულიად ახალი ხანა. მზე უფრო მბრწყინავი გახდა, დღე უფრო ნათელი, შრომა დაფასდა.

1922 წლის 30 იანვარს საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გაისმა ს. ორჯონიკიძის შთამაგონებელი სიტყვები: „თქვენ სამხრეთ ოსეთს მიეცით ფართო ავტონომია და თავისუფლებისმოყვარე ოსი ხალხი, რომელიც არაერთხელ აჯანყებულა მენშევიკების დროს, ახლა მჭიდროდ და ძმურად გაერთიანებულია საქართველოს მუშებთან და გლეხებთან“.

საქართველოს მშრომელებთან მართლაც „მჭიდროდ და ძმურად“ გაერთიანებული საბჭოთა სამხრეთი ოსეთი სავსებით განახლებულია. იგი არის ოქტომბრის პირშო, რომელიც მკაფიო მაგალითია ლენინური ეროვნული პოლიტიკის გაძარჯვებისა.

დაიწყო მეცხრე ხუთწლედი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები ენერგიულად შრომობენ, რათა წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს.

თავის XXXII საოლქო პარტიულ კონფერენციაზე სამხრეთ ოსეთის კომუნისტები სიამაყის გრძნობით ავლებენ თვალს განვლილ გზას. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლების მანძილზე ოლქის მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ისინი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში ყარაჯატებით აშენებენ თავიანთ ბედნიერ მოთავალს. თავისუფლებისათვის ბრძოლახა და ახალი ცხოვრების აშენებისათვის შეძოგმედებთ შრომაში სამხრეთ ოსეთის ხალხი მხარდამხარ მიდის ქართველ ხალხთან ერთად, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ წარმატებებისათვის, რომლებიც მოიპოვებულია სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის განვითარებაში, სამხრეთ ოსეთი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. ეს იყო 1967 წლის ოქტომბერში. ამის შემდეგ საძმობლის უფაღლესი ჯილდო ბრწყინავს საძმრეთ ოსეთის დროშაზე. სამხრეთ ოსეთის დაჯილდოება ლენინის ორდენით — ეს არის დასახურებული ალიარება იმ ძალისმოსილი ხელისა, რომელიც ოლქის მშრომელებს შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის მატიანეში ბრძოლა ფეოდალ ჩაღერეს საძმრეთ ოსეთის მშრომელებსა. ბრწყინავენ ფეოდალები კლასობრივი ბრძოლებისა, რომელთაგან ცხინვალის მშრომელები, ოკონის, როკის და ჯავის მაზრების გლეხები ეკუთვნენ. ნახევარი საუკუნის წინათ სამხრეთ ოსეთში სრულებით არ იყო მრეწველობა, მაგრამ ბევრი ხელოვანი, ფეოდალურ ფეოდალებები, ულტურის კერები. ახლა სამხრეთ ოსეთში არის ფერადი მეტალურგიის საწარმოები, ელექტროტექნიკური, მსუბუქი და კვების მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გადის ნაწარმი სამხრეთ ოსეთის საწარმოთა ძარკეთ, ვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, იზრდება მინდვრების, ბაღ-ვენახების ფართობი, ნაძდვილად აუკავდა მეცნიერება და კულტურა.

ამ წარმატებათა ფოფაკოვებლად სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ავანგარდში დგას ოლქის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ადიდარი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები აქვს. სოოლქო პარტიული კონფერენცია შუდამ დიდი ფოფლენა ოლქის მშრომელთა ცხოვრებაში, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. მისი ბუშაობა დაკავშირებული ახალ გეგმებთან და ამოცანებთან. ახლა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ძალები უნდა ფოახმარონ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, ახალი ხუთწლედის პირველი წლის ამოცანათა გადაჭრას. ამაზე შეუნელებელი ზრუნვა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა.

წინ ბევრი გადაუდებელი საქმეები ელით პარტიულ ორგანიზაციებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ახლა მთავარია უზრუნველყოთ პირველი კვარტალის გეგმების შესრულება, ვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, რაზეც დამოკიდებულია უხვი მოსავლის მიღება.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სამხრეთ ოსეთის მშრომელებიც ახალ-ახალი გამარჯვებით შეეგებნენ მეცხრე ხუთწლედს, ახალ წელს — ლენინური პარტიის XXIV ყრილობის წელს. ეჭვი არ არის, რომ სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციები, ოლქის ყველა მშრომელი კვლავ მოიპოვებენ ახალ წარმატებებს კომუნიზმის დიად მშენებლობაში.



კომუნისტი გრიგოლ საგკაევი

სოფელ დმენისის (ცხინვალის რაიონი) კოლმეურნეობის მოწინავე მეხილეა სოციალისტური შრომის გმირი გრ. საგკაევი. იგი არჩეულია სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატად.

სურათზე: გ. საგკაევი.

ფოტო ბ. ალბოროვისა.

დიდი მადლობა

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლე ზუანმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნეს დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია:

„პატივცემულო ამხანაგებო, 1970 წლის 2 დეკემბერს ბერლინში შეკრებილმა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკურმა საკონსულტაციო საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ამერიკის იმპერიალისტებს ახალი სერიოზული საომარი აქციებისათვის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და მთელ ინდოჩინეთზე აგრესიული ომის გავრცელებისათვის. თანმიმდევრული სოლიდარობა გამოუცხადა ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებს მათს სამართლიან ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის.

1970 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის მხარდასაჭერად. ყოველივე ეს მძლავრი მხარდაჭერაა და დიდად აღაფრთოვანებს ვიეტნამელ ხალხს, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რათა განახორციელოს პატივცემული პრეზიდენტის ხო ში მინის წმიდათა წმიდა ანდერძი, მტკიცედ იგერიოს ამერიკელ იმპერიალისტთა ახალ-ახალ პროვოკაციულ მოქმედებას, ლაოსისა და კამბოჯის ხალხების მხარდამხარ წარმატებით იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ და შეაქვს წვლილი ხალხთა საერთო ბრძოლაში მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ვიეტნამელი ხალხის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით დიდ მადლობას ვუძღვნით კომუნისტურ პარტიას, მთავრობასა და მოძმე საბჭოთა ხალხს, რომლებიც მუდამ უწევდნენ უდიდეს, ფასდაუდებელ და ეფექტიან მხარდაჭერასა და დახმარებას ვიეტნამელ ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლაში და სოციალიზმის მშენებლობაში.

ვსარგებლობთ შემთხვევით და საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ვუსურვებთ ახალ, უფრო დიდ წარმატებებს საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში.

დაე განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ჩვენი ქვეყნების პარტიებსა და ხალხებს შორის საბრძოლო სოლიდარობა და ძმური მეგობრობა.

გისურვებთ ჯანმრთელობას“. (საკდესი).

ეძღვნება ამხანაგ ტიმ ბაკს

მოსკოვი, 6 იანვარი. (საკდესი). კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ტიმ ბაკის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა დღეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში.

სტენდებზე გამოფენილი დოკუმენტები, წიგნები, ფოტოსურათები ასახავენ კანადის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის, კანადისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის საქმიანობას. ეგზპოზიციაში წარმოდგენილია ბროშურები, საეურნალო სტატიები, რომლებშიც კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე აშუქებს თავისი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების საკითხებს, ომისა და მშვიდობის, კანადის ეროვნული დამოუკიდებლობის, მისი სამშობლოს და საგარეო პოლიტიკის პრობლემებს.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობენ ტიმ ბაკის წიგნები „დიდი ოქტომბრის რევოლუციის გავლენა კანადის მუშათა მოძრაობაზე“ და „ვ. ი. ლენინისა და ლენინიზმის გავლენა კანადის კომუნისტური პარტიის განვითარებაზე“.

გამოფენის მთელი რიგი ექსპონატები თვალსაჩინოდ ასახავენ ტიმ ბაკის საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

სტენდზეა ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებისა ამხანაგ ტიმ ბაკისადმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით მისი დაჯილდოების შესახებ.

დამკვრელური შრომა პირველი დღეებიდანვე

შეინთვის, ჩვენო დედასამშობლო!

თბილისის გვირაბმშენის კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებანი სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად

იბრძვის რა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და მხარს უჭერს თბილისის სარკინიგზო-სატრიკოტაჟო კომბინატის ინიციატივას, თბილისგვირაბმშენის კოლექტივი კისრულობს შემდეგ გადიდებულ ვალდებულებებს:

1971 წლის პირველი კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საგეგმო მოცულობა შეასრულოს 1971 წლის 25 მარტისათვის.

მრომის ნაყოფიერება 1971 წლის 1 კვარტალში გაზარდოს გეგმით გათვალისწინებული დავალების გადაჭარბებით 0,5 პროცენტით.

1971 წლის 1 კვარტალში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შეამციროს 1 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული დავალების გადაჭარბებით.

გაუმჯობესოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, ყველა ობიექტი საექსპლოატაციოდ გადასცეს შეფასებითი „ჩინებული“ და „კარგი“.

1971 წლის 1 კვარტალში დადგენილი გეგმის გადაჭარბებით საექსპლოატაციოდ გადასცეს გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცხოვრებელი სახლი, რომლის მარგი ფართობი 989 კვადრატული მეტრია.

სკკპ XXIV ყრილობის გახსნისათვის დაამთავროს შემდეგი ობიექტების სამშენებლო სამუშაოები: მეტროპოლიტენის სადგური „ისანი“, მეტროპოლიტენის სადგური „საბურთალო“, მარჯანიშვილის გზირაბი სადგურ „საბურთალოდან“ სადგურ „ისანამდე“, ბორის მეფერინველების ფაბრიკის სამტანური, საამქრო და ორი ალუმინატბაზატორი, „ამენის ავტოსაგზაო გვირაბის 150 გრძივი მეტრი ზედა ნაწილი მეტლის პლატოსთან.

(საკდესი).

□ □ □

ამერიკაკაკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა ვალდებულებანი

ეს წარაფშის რა ღირსეულად შეხვედეს სკკპ XXIV ყრილობას, ამერიკაკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა 1971 წლის პირველი კვარტალისათვის ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა:

ვადამდე, 29 მარტს შეასრულოს სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადატანის გეგმა. გაგონების ბრუნვის დაჩქარების, სტატიკური დატვირთვის აცილებისა და მოძრავი შემადგენლობის გამოყენების სხვა მაჩვენებელთა გაუმჯობესების შედეგად დამატებითი გადაზიდვისათვის ყოველ დღეღამეში გაათავისუფლოს 300 ვაგონი. შრომის მეცნიერული მეთოდების შემდგომი დანერგვის ბაზით დაზოგოს მატერიალების ზეგეგზე ელექტროენერგიის სულ ოცჯერ ერთი პროცენტი, ხოლო დატვირთვა-განტვირთვის საამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დონე 2 პროცენტით აამაღლოს დაგეგმილთან შედარებით. გაა უმჯობესოს მუზეგრთა მომსახურების კულტურა და საგაბლო მეურნეობისა და სამეზავრო მატერიალების სანიტარული მდგომარეობა.

მრომის მეეფიერული ორგანიზაციისა და მუშაობის მოწინავე ხერხებისაკენ უფრო ფართოდ დანერგვის საფუძველზე ვაგონების დღეზე მიმოქცევის დრო ნერმასთან შედარებით შეამციროს 5 პროცენტით.

მიიღოს 200 ათასი მანეთი ზემგეგმითი მოგება.

შეასრულოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა 25 მარტისათვის, 1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულოს შრომის ნაყოფიერების დავალება. (საკდესი).

ვალაზე ადრე

ხაშური. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტს № 132 მექანიზებული მოთრავი კოლონისა და ხაშურის საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივებმა ჯერ კიდევ შარშან იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მშენებლებმა და ფეიერებმა შეჯიბრების პირველი ეტაპი წარმატებით გაბლეს. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მომგირნეობის რეჟიმის გამოყენებით მშენებლებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა ოქტომბერში შეასრულეს, გეგმის გადამეტებით განახორციელეს ორასი ათასამდე მანეთის სამუშაოები, საექსპლოატაციოდ გადასცეს 5.500 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი, ფაბრიკამ დაამონტაჟეს 600-ზე მეტი თანამედროვე საწნავი მანქანა.

ვადაზე ადრე ჩადგა მწყობრში ხაშურის საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკის მეორე რიგი — ლენტსაქსოვი საამქრო. ახალი სიმძლავრის ამუშავებით ფაბრიკის კოლექტივმა შეძლო გასული წლის გეგმის გადამეტებით გამოეშვა 2 მილიონ 100 ათასი გრძივი მეტრი წნული ნაწარმი. საერთოდ კი საამქროს წელიწადში შეუძლია გამოუშვას 95,4 მილიონი მეტრი ტექნიკური ლენტი და 91,4 მილიონი გრძივი მეტრი წნული ნაწარმი.

მშენებლებმა და ფეიერებმა კარგად დაიწყეს ახალი წელი. ფეიერებს გადაწყვეტილი აქვთ პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდონ; მშენებლებმა კი იკისრეს ფაბრიკა მთელი სიმძლავრით აამუშაონ ვადაზე ორი თვით ადრე, 1972 წლისათვის.

კვარტალის გეგმა — 15 მარტისათვის

თელავი. (საკ. კორ.). სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საამქროებში. კომბინატის მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებში ჩაწერილია, რომ 1971 წლის პირველი კვარტალის კოდოფაციის გაგრძელებისა და რეკონსტრუქციის გეგმიდან 15 მარტისათვის შეასრულონ და ყრილობის გახსნამდე დარჩენილ დროში გამოუშვან ათასობით მანეთის ავეჯი, კერამიკული, სამკერვალო ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები.

მინდვრებსა და პლანტაციებში

ცხინვალი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი ორომტრიალი ამოვალეთით დაწყო ახალი ხუთწლედის პირველი წლის დღეებმ. ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღდა მუშაობა ხეხილის ბაღებში. 3 და 4 იანვარს რამდენიმე, ჰექტარზე შემობარეს ხეხილის ძირები, შეათვთრეს შტამბები, შეიტანეს ნაკელი.

ასევე დიდი ამოოცხლებია ზნაურის რაიონის სოფელ აგხვედის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეებს მინდვრად და ხეხილის ბაღებში გაეკეთ ნაკელი. მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის გამოყოფილი თესლის გაწმენდა, კონდიციამდე აყვანა.

აცხეთა. („კომუნისტის“ კორ.). იანვრის ბოლოდან დღეები მხიარი, თბილი იყო. სოფლის მშრომელები მინდვრებში საქმიანობდნენ. ბოხრაიანის, საგურამოს კოლმეურნეობებმა, სატანტრის მეთანტლეობა-მერძეობებ ს საბჭოთა მეურნეობაში, ქსოვრისის სახელგე საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს ხეხილის ძირების შემობარეა, ამზადებენ ყვავილსაბუერეს ბოსტნეულის დასათესად. კვლავ გულმოდგინედ ამოწმებენ საგაზაფხულო თესლეულს, გაჩადდა ტოკტორებისა და სხვა ტექნიკის რემონტი.

„საქსოფლტექნიკის“ გორისა და საგარეჯოს რაიონული გაყოფილებების მექანიზატორები დადგნენ პარტიის XXIV ყრილობის აღსაიმწვა ვახტზე. ისინი შეუდგნენ ტრაქტორების რემონტს. გორელებმა გადაწყვიტეს ერთველ კვარტალში 41 ტრაქტორის ნაცვლად შეიყვანონ 45 ტრაქტორი. ასევე ეფექტიანად მუშაობენ „საქსოფლტექნიკის“ საგარეჯოს გაყოფილების მექანიზატორები. ყოველდღიურ დავალების გადაჭარბებით ასრულებენ ხარატი ვ. ხატაევილი, ზეინკალი გ. დოლენჯაშვილი და სხვები. საგარეჯოელებმა პირობა დადეს პირველი კვარტალის დავალება 25 მარტისათვის გაანაღდონ.

ადიდი ქიმიის ახალმშენებლობანი

ბორლიბკა (დონეცკის ოლქი). პლასტმასის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის — ეთილენჟოლის დიდი საამქრო მიიღეს საექსპლოატაციოდ ორჯონიკიძის სახელობის ქიმიურ კომბინატში. ეთილენჟოლის გამოშვებისათვის აყენებენ ავწარმოო ამიაკის წარმოების ნარჩენებს, ტექნოლოგიური კრეკინგის ძართა წარმოებს ცენტრალური პულტიდან.

ახალი საამქროს საპროექტო სიმძლავრის ათვისების შედეგად სავსებით უზრუნველყოფილი იქნება კომბინატის მოთხოვნილებანი, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს პლასტმასის წარმოებას.

სუმგაითი (აზერბაიჯანის სსრ). აქაურ ქიმიურ კომბინატში საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია ქვეყნის უდიდესმა ეთანსიდური ფისების წარმოებამ. ამ იეფლეულს იყენებენ დიდად გამძლე ლაქებისა და წვეთების დასამზადებლად, რომლებიც უძლებენ მაღალ ტემპერატურას. ეთანსიდური წებოს სამუალებით ლითონის კონსტრუქციათა შეერთება შედეგად საკერხე უფრო მტკიცეა.

სუმგაითის კომბინატი იზრდება. იგი გამოუშვებს 40 სახეობაზე მეტ პროდუქციას. წელს საწარმოში მწყობრში ჩადგება კიდევ ხუთი დიდ წარმოება. (საკდესი).

ვუღოცავთ

საპატიო წოდება

ვლადიმერ კანდელაკი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

ოსტროვსკის ტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური აკადემიური თეატრის სოლისტს ვლადიმერ კანდელაკს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ვლადიმერ კანდელაკმა, ნემიროვიჩ-დანჩენკოს ერთ-ერთმა საუკეთესომ მოწაფემ, თეატრში მოსვლის პირველი დღიდანვე ბრწყინვალე სცენური სახეების მთელი გალერეა შექმნა. მკაფიო და დასამახსოვრებელი იყო ვ. კანდელაკი ოფენბახის კომიკური ოპერებში „პერიკოლასა“ და „მშვენიერ ელენეში“, ი. ძერჟინსკის „ყუნარ დონში“, დ. შოსტაკოვიჩის „კატერინა იზმაილოვაში“, ტ. ხრენიკოვის „ჭარბუქში“.

ვლადიმერ კანდელაკის სცენური სახეებისათვის დამახასიათებელია ცხოვრებისეულობა, ფსიქოლოგიური დამუშავება, ღრმა პროფესიონალიზმი. იგი ერთნაირად კარგია მკაცრ დრამატულ და სიცოცხლით სავსე, კომედიური პლანის როლებში. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მსახიობის ტალანტი საბჭოთა კომპოზიტორების სპექტაკლებში. დ. კაბალევსკის ოპერა „ტარასის ოჯახში“ ტარასის როლის შექმნისათვის ვ. კანდელაკს მიენიჭა სახელმწიფო პრემია. ტ. ხრენიკოვის ოპერა „ფროლ სკობეევში“ ტუგაი-რედდინის, ხ. პროკოფიევის „ომსა და მშვიდობაში“ ნაპოლეონის, ხ. სლონიმსკის „ვირინეაში“ მაგარისა და სხვა ბევრი სცენური სახის განხორციელება ნათლად მეტყველებს ვ. კანდელაკის მეშვარიტ ანტიორულ ნიჭიერებაზე.

1943 წლიდან უკვე სახელმოხვეჭილი მსახიობი მუშაობს ოპერეტის როგორც რეჟისორი. მან რამდენიმე სპექტაკლი დადგა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში, მოსკოვის ოპერეტის თეატრში, რომელთანაც ბრწყინვალე მსახიობს, მშვენიერ მომდერალსა და ნიჭიერ რეჟისორს ათი წლის შემოქმედებითი ცხოვრება აკავშირებს.

თავისი მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე ვლადიმერ კანდელაკმა შექმნა ბევრი დასამახსოვრებელი სცენური სახე. მთელ თავის ტალანტს, შთაგონებას მსახიობი ახმარს ხალხს, ხალხთან კავშირის გარეშე მას ვერც წარმოუდგენია თავისი ცხოვრება, თავისი ხელოვნება.

ჩვენს დიად საამშობლოში



სამხრეთ ოსეთის კომუნისტები

რას მივაღწიეთ, რა გვაქვს დასახული

უკანასკნელი წლები ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა მრავალი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მსოფლიოს პროლეტარიატის დიდი ბელადის, ჩვენი პარტიის შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილე.

ამ იუბილესათვის მზადება გადაიქცა საერთო-სახალხო საქმედ. მის აღსანიშნავ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ჩაებნენ სამხრეთ ოსეთის საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სასწავლებლები, დაწესებულებები, ოლქის ყველა მშრომელი. საიუბილეო წელი ხელმაღლიანი, სიუხვითა და დოვლათით აღსავსე აღმოჩნდა. სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა პირნათლად გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ეს იყო პარტიული ორგანიზაციების შემოქმედებითი შრომის დამსახურებული გამარჯვება.

სამხრეთ ოსეთის მრეწველობა სისტემატურად ვითარდება; მწყობრში დგებიან ახალ-ახალი სიმძლავრენი, ფრთებს შლიან მრეწველობის სხვადასხვა დარგები. უკანასკნელ ხუთწლედში სამხრეთ ოსეთის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 69 მილიონი მანეთით აღემატება წინა ხუთწლედში გამოშვებულ პროდუქციას. ოლქის მრეწველობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი 24 პროცენტს აღემატება.

წარმატებით დამთავრდა საიუბილეო წელი. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ფართო მასობრივი-პოლიტიკური მუშაობის საფუძველზე ყველა პირობა შეიქმნა იმისა, რომ საწარმოთა დიდი უმრავლესობა წარმატებით ასრულებს სამეურნეო გეგმებს. ოლქის სამრეწველო საწარმოებმა წინასწარი მონაცემებით 103 პროცენტით დაანაღდეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება. მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია.

გეგმების შესრულებისათვის მტკიცე ბრძოლის მაგალითს იძლევიან ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკა, ხე-ტყის კომბინატი, კვაისის მაღაროთსამმართველო, ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“, საგზაო-სამშენებლო უბანი № 13 და სხვები. სამეურნეო წარმატების საფინანსოა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. ზემოთ ჩამოთვლილ საწარმოებში პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ კადრების აღზრდასა და განაწილებას, მასებში პოლიტიკურ მუშაობას, მიღებული დადგენილებების განხორციელებისათვის დაუცხრომელ შრომას. მათ ღრმად შეისწავლეს, თუ როგორ შეახამონ პარტიული და სამეურნეო მუშაობა. ფორმალიზმი თანდათან იდევნება პარტიული და სამეურნეო საქმიანობიდან.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი ზოგიერთი საწარმოს მუშაობაში. მაგალითად, ცხინვალის ავტობუსების სარემონტო და ქიმიური ქარხნები ვერ ასრულებენ საწარმოო დავალებებს, თუმცა საამისო საშუალებები უთუოდ აქვთ. პირველს არ ჰყოფნის ავტობუსების სარემონტო ფონდი, ხოლო მეორეს — ნედლეული. პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტი კი დიდი ხანია ურიგდება ფორმალიზმს ამ საწარმოების მუშაობაში. საჭიროა მეტი ყურადღება დავუთმოთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემას, რომლის დანერგვამ საუკეთესო შედეგები გამოიღო ბევრ ჩვენს საწარმოში. ისინი მოფიქრებულად იყენებენ საწარმოო ფონდებს, მუშახელს, მატერიალურ-საფინანსო საშუალებებს. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“. გასულ წელს ერთგვარად გამოსწორდა სამე კაპიტალური მშენებლობის დარგში, თუმცა აქაც გეგმები კვლავ ვერ სრულდება. ბევრი თანხები აუთვისებელი რჩება სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო.

საგრძნობლად წავიდა წინ სოფლის მეურნეობა. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერეს ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი. პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები სერიოზულ ღონისძიებებს აბორიგენებენ მიწათმოქმედების აულტურის ამაღლებისათვის, მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ მეტად დიდი და სერიოზული ამოცანებია გადასაწყვეტი.

დიდია სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანები მიმდინარე წელს — ახალი ხუთწლედის პირველ წელს. სამხრეთ ოსეთმა წელს სახელმწიფოს უნდა მისცეს 2.120 ტონა მარცვლეული, 7.300 ტონა რძე, 2.572 ტონა ხორცი, 11.000 ტონა შაქრის ჭარხალი. 1.350 ტონა კარტოფილი, 9.650 ტონა ხილი, 4.900 ტონა ბოსტნეული, 3.800 ცენტნერი მატყლი.

გასული წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში შესაძლებელია საგულისხმო წარმატებების მოპოვება, თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან დავალების შესრულებას და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმეებს არ გადაანდობენ მეორეხარისხოვან პირებს.

შარშან ჩვენ საუკეთესო მაჩვენებლებს მივაღწიეთ მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის წარმოებაში, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვაში. წელს კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდას, ნამატის უკლებლივ შენარჩუნებას და ჯოგის ჯიშობრივ გაუმჯობესებას.

მარცვლეულის მოღალი მოსავალი მიიღეს ერედვის საბჭოთა მეურნეობამ, სოფელ აენეკისა და თერეგვანის კოლმეურნეობებმა, ველების საბჭოთა მეურნეობამ, დმანისის კოლმეურნეობამ. მაგრამ ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებენ. ისინი არ იყენებენ მინერალურ სასუქებს, არღვევენ თესვის აგროტექნიკურ ვადებს. ადგილი აქვს დანაკარგებს მოსავლის აღების დროს.

გასულ წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს მეხილეობისა და მევენახეობის საკითხებს. ამიტომ სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ, ხილის დამზადების დავალება დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. არც მევენახეებმა და მებოსტნეებმა გვიღალატეს. გადაჭარბებით შევასრულეთ შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმებიც.

სამხრეთ ოსეთი ძირითადად მეცხოველეობას მისდევს. ამიტომ სერიოზულ ყურადღებას ვუთმობ-

მასების სათავეში

გ. ჯუსოევი,
საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

◆

ლადობის ზრდას, ნამატის უკლებლივ შენარჩუნებას და ჯოგის ჯიშობრივ გაუმჯობესებას.

მარცვლეულის მოღალი მოსავალი მიიღეს ერედვის საბჭოთა მეურნეობამ, სოფელ აენეკისა და თერეგვანის კოლმეურნეობებმა, ველების საბჭოთა მეურნეობამ, დმანისის კოლმეურნეობამ. მაგრამ ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებენ. ისინი არ იყენებენ მინერალურ სასუქებს, არღვევენ თესვის აგროტექნიკურ ვადებს. ადგილი აქვს დანაკარგებს მოსავლის აღების დროს.

გასულ წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს მეხილეობისა და მევენახეობის საკითხებს. ამიტომ სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ, ხილის დამზადების დავალება დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. არც მევენახეებმა და მებოსტნეებმა გვიღალატეს. გადაჭარბებით შევასრულეთ შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმებიც.

სამხრეთ ოსეთი ძირითადად მეცხოველეობას მისდევს. ამიტომ სერიოზულ ყურადღებას ვუთმობ-ყველგან ჩამორჩება მეღორეობა, ფრინველიც, როგორც ვიცით, საუკეთესო რეზერვია ხორცის წარმოების გადიდებისათვის.

სოფელი ახლა განუწყვეტლივ იღებს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, იზრდება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიგებიც. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანოები სუსტად მუშაობენ კადრებთან, მათ მოფიქრებულად ვერ იყენებენ. ნაკლებად დატვირთულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ყოველივე ამის შედეგად ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საქმეები არადამაკმაყოფილებლად მიდის. ოლქის პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა მკვეთრად გაუმჯობესოს კადრებთან მუშაობა, აამაღლოს მექანიზაციის დონე სოფლის მეურნეობაში, გაძლიეროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

პარტიის საოლქო კომიტეტი, რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. დღის წესრიგში ყოველთვის იდგა სავაჭრო ორგანიზაციების, საყოფაცხოვრებო კომბინატების, ვანმრთელობის, სახალხო განათლების, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის საკითხები. თუ რამდენად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1971 წელს მოსახლეობას მიეყიდება 5 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე 1970 წელს. სერიოზული ყურადღება დაეთმობა საყოფაცხოვრებო კომბინატების მშენებლობას, სოფლის კულტურის კერების, სკოლების მუშაობას. ერთი სიტყვით, ხუთწლედის პირველი წლიდანვე პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას საბჭოთა ადამიანების კომუნისტური იდეებით აღზრდისათვის.

ამ მხრივ ფართო მუშაობას ეწევიან პარტიული კომიტეტების ლექტორები, პოლიტიკური მომხსენებლები, საზოგადოება „ცოდნა“, კულტურის კერები, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები, უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის საოლქო კომიტეტი, ცხინვალის საქალაქო კომიტეტი, რაიონული კომიტეტები ყოველდღიურად ზრუნავენ სკოლების, სპეციალური სასწავლებლების, შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერებისათვის. სამხრეთ ოსეთის მწერლებმა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს თანამედროვე ცხოვრებიდან, განსაკუთრებით სოფლის ცხოვრებიდან. ჩვენს მწერლებს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს მწერალთა კავშირი. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად იმატა ოსური ნაწარმოებების თარგმნამ ქართულ ენაზე. საგრძნობლად გაუმჯობესდა ოსური და ქართული თეატრების მუშაობა. მათ მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელეს როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე თემებზე. უფრო მიმზიდველი, საინტერესო გახდა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ანსამბლის „სიმღის“ შემოქმედებითი საქმიანობა. მძლავრი ნაბიჯები გადაიდგა სოფლების კინოსურათებით მომარაგების საქმეში.

მიმდინარე წლის მარტში ჩვენ დიდი ისტორიული მოვლენის მოწმენი ვიქნებით — გაიხსნება ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა. სამხრეთ ოსეთის მშრომელნი გაცხოველებით ემზადებიან ამ დიდი მოვლენისათვის. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი ძალით გაიშალა ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები, კომუნისტები მთელ ძალებს მოახმარენ იმას, რომ ღირსეული საჩუქრებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა იკისრეს:

ახალი ხუთწლედის პირველ წელს ოლქის საწარმოებში გამოუშვან 5.500 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი, ვიდრე შარშან. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა გაზარდონ 4.800 ათასი მანეთით. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში პროდუქციის გამოშვება გააღიდონ 23 პროცენტით. პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის გეგმა შეასრულონ 25 თებერვლისათვის.

მარცვლეულის წარმოება გაზარდონ 10.557 ცენტნერით, კარტოფილისა — 19.550 ცენტნერით, ბოსტნეულისა — 24.900 ცენტნერით, ხილისა — 2.725 ცენტნერით, ყურძნისა — 11.540 ცენტნერით, ხორცისა — 2.960 ცენტნერით, რძისა — 17.260 ცენტნერით, მატყლისა — 590 ცენტნერით.

გეგმის ზევით საახალმოწოს მიჰყიდონ 380 ტონა ხორცი, 540 ტონა რძე, 300 ათასი ცალი კვერცხი, 400 ტონა მარცვლეული, 330 ტონა კარტოფილი და 300 ტონა ხილი.



ცხინვალის მარკით — 18 ქვეყანაში

ეს სიტყვები ეკუთვნის ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“ ქარხნის დირექტორს ა. კოზიევს, რომელმაც თქვა:

ცხინვალის ელექტროვიბრომანქანებს ამჟამად მრავალი ქვეყანა იღებს. ეს პროდუქცია არა მარტო სოციალისტურ, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც იგზავნება.

ცხინვალის რკინიგზის სადგურზე თქვენ ნახავთ სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროვიბრომანქანებს, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთში გასაგზავნად. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, იუგოსლავია, კორეა, ვიეტნამი, კუბა, ინდოეთი, არაბეთი, ალჟირი, ირანი, სირია, იტალია, თურქეთი, ფინეთი, შვეიცია და შვეიცარია.

ცხინვალის მარკას განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევენ ინდოეთში. ჩვენი ქარხანა მონაწილეა ქ. იზმირის (თურქეთი) საერთაშორისო გამოფენისა. მიმდინარე წელს კი ცხინვალური ელექტროვიბრომანქანები გაიგზავნება ბაზელის (შვეიცარია) საერთაშორისო გამოფენაზე. ამრიგად, ცხინვალის მარკის მანქანები აყვანილია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. ამაში დიდი და ძმური დახმარება გაგვიწიეს მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, კიევისა და თბილისის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა.

* * *

სურათზე: ქარხნის ამწყობი ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ვ. თედეევი.

ფოტო ლ. გუსოვისა.



ქშენდა, შენდება

ელექტრიფიკაცია. ელექტრობა მტკიცედ დამკვიდრდა სამხრეთ ოსეთის ოლქის მშრომელთა ცხოვრებაში. დღეისათვის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები მიყვანილია ოლქის უმრავლეს სოფლებში. მთლიანი ელექტრიფიკაციის მიზნით 1971 წელს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები გაყვანილი იქნება ვანელის, როკისა და ედისის მაღალმთიან სოფლებში.

საგზაო მშენებლობა. გზების მშენებლობას სამხრეთ ოსეთში დიდი ყურადღება ექცევა. ახლა საავტომობილო გზებით შეგიძლიათ მიხვიდეთ მთიან სოფლებში: გუფთამი, ხვწეში, ჯავაში, ვანათი, ყორნისში და სხვ. წელს გზების რეკონსტრუქციაზე და კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება მილიონ 844 ათასი მანეთი. — ნახევარი მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე შარშან.

სასკოლო მშენებლობა. ოლქი დაქსელილია საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლებით. ბოლო წელს აიგო საშუალო სკოლების ახალი შენობები ქ. ცხინვალში, სოფელ წინაგარში (ლენინგორის რაიონი), აგრეთვე სპორტული სკოლა ცხინვალში და სამი საბავშვო ბაღი.

წელს სახალხო განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილია 7.555 ათასი მანეთი.

„კომუნისტის“ კორ.

კომუნისტები — გადამწყვეტ უბნებზე

ჩვენს კომბინატში მუდამ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე არიან კომუნისტები, რომლებიც თავდადებული შრომით მაგალითს უჩვენებენ უპარტიო მუშებს. შარშან მარტო თერმიტ თვეში პროდუქციის გამოშვების გეგმა 103 პროცენტით შესრულდა, ხოლო პარკეტისა და ავეჯის გამოშვების დავალებები — შესაბამისად 118-120 პროცენტით. ეს წარმატებები განაპირობა კომუნისტების ავანგარდულმა როლმა. უშუალოდ წარმოებაში დასაქმებული კომუნისტები გეგმებს 110-120 პროცენტით ანაღდებენ. მათ შორის არიან მედაზვე ზ. გაზაევი, მეპარკეტე ს. კაჩმაზოვი, დურგლები ა. კოჩიევი და გ. ბუგიანიშვილი, რომლებიც მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

მოვალეობას პასუხისმგებლობით ასრულებენ სამჭრის უფროსი ა. მაღსუარაძე, ბრიგადირები გ. მეტრეველი, ლ. ჭოველიძე, ხ. ჩოჩიევი, ოსტატი დ. ლომიძე და მრავალი სხვა. პარტბიუროს საზრუნავია ბევრი რამ, მათ შორის ისიც, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები საწესდებო მოთხოვნებს; მეპარკეტეებმა ს. ცხოვრებოვმა, ხ. მამისთვალოვმა, თ. ჯაფარიძემ დააყენეს მასალის დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და ნარჩენებისაგან ახალი პროდუქციის გამოშვების საკითხი, პრაქტიკულად გვიჩვენეს თავიანთი აზრის სისწორე. მათივე წინადადებით რესპუბლიკის მონათესავე საწარმოებში რამდენიმე კაცი გაიგზავნა შრომის მოწინავე მეთოდების გადმოსაღებად. მოკლე დროში საწარმოში დაინერგა ზოგიერთი სიახლე, რამაც გაათუნჯობესა საპარკეტე მასალის დამუშავების ტექნოლოგია.

ლენინის საიუბილეო წელს ჩვენთან დაინერგა კომუნისტების რაციონალიზატორული წინადადებები, რამაც უკვე რამდენიმე თვეში მოგვცა თვალსაჩინო ეკონომიური ეფექტი. განსაკუთრებით საგრძნობი წინადადებები წამოაყენეს გ. ბერეუაშვილმა და ი. მიხაილოვმა დეტალებზე ლაქის წასმის, დეტალებისა და სხვა მასალების გადასაზიდი ურიკების დამზადების შესახებ.

საწარმოს მარკის ღირსებისათვის მებრძოლთა შორის არიან ლაბორატორიის უფროსი ბ. ბერეუაშვილი, მედაზვე ზ. გაზაევი, დურგლები ი. კასნიაშვილი და დ. ოქროკვერცხოვი. ლენინის საიუბილეო წელს მაღწეული წარმატებისათვის ჩვენი კომბინატი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ საატყეო და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით.

ამ წარმატებების გვერდით ვხედავთ ნაკლოვანებებსაც: ჯერ კიდევ გამოუყენებელია ბევრი რეზერვი და საშუალება, იკარგება სათბობი და ელექტროენერგია, ჭიანურდება ახალი ტექნიკისა და ავტომატიზაციის დანერგვა. ამ საკითხების მოგვარება, დირექციასთან ერთად, ჩვენი საზრუნავია.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევხვდით ცნობას, რომ ახალ ხუთწლედში საგრძნობლად გაფართოვდება ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი, ბევრად გაიზრდება მისი სიმძლავრე. ამიტომ პარტიური, ყველა კომუნისტი უფრო მეტი შემართებით იბრძოლებენ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, ახალი ტექნიკის, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვის, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის გატარებისათვის. ცხინვალელი მეავეჯეები ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდებიან სკკპ XXIV ყრილობას, საქართველოს საიუბილეო თარიღებს.

რ. ცხოვრებოვი,
ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის პარტბიუროს მდივანი.

რევაზ ასაევი

ჩემო ოსეთო!

შენ, მშობლიურო ოსეთის მიწავ,
რამდენი ტანჯვა გამოიარე,
ვინ დაითვლიდა, მითხარი, წინათ
შენი გაშლილი მკერდის იარებს!
შენც გაწამებდა მეფის უღელი,
ცოოლ ყველგან, შიგნით თუ გარეთ,
დამონებული, ბორკილგაყრილი,
მტრის ტყვეობაში კვნესოდი მწარედ!
შენი ბოღმისგან ბორგავდნენ წყლები,
შენსავით წუხდა ბუნებაც თითქოს,
იდგნენ პირქუშად მაღალი მთები
და ნათელი მზის სწყუროდათ სითბო.
მაგრამ ახლა კი...
დამიწდნენ მტრები,
ათასფერებში ბრწყინავ და ელავ,
ოსეთო, ლაღად გაშალე ფრთები
და შენი წინსვლა ახარებს ყველას!

დახვავებულა ხალხის დოვლათი,
თვალს ახარებენ, ბაღჩა-ბაღები.
გასახელებენ გმირულ შრომაში,
შენი ქალები, შენი ვაჟები.
დიდავ ოსეთო, შენი ქალაქი
ელნათურების თვალებს რომ ახელს,
რა მშვენიერი დილა დაბნათის,
რა მშვენიერად უცცალია სახე!
გუგუნებს შრომა, მძლე სიმღერები
წინ გეეძახის და ხალისით გვავსებს.
მოჩანს ცხინვალი მწვანე ფერებში,
თითქოს ხომალდი მიცურავს ზღვაზე.
ო, საყვარელო ჩემო ოსეთო,
ეს რა დიდი ნათელი გფარავს,
ნართებისა და კოსტას მშობელო,
გაიფურჩქნე და იხარე მარად!

თარგმანი პახტანგ გორგანელისა.

ჩვენი სიმდიდრე

საოლქო პარტიულ კონფერენციაზე ახალი წარმატებებით მოვიდნენ ლენინგორის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელნი. განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს მეცხვარეობის განვითარებაში. წარსულსა და დღევანდელობას შორის დიდი კონტრასტია. აი ერთი მაგალითი. 1935 წელს სოფელ ჩიტანთში სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბების დროს, — რომელიც ამჟამად თავის თანაგზელ ოთხ სოფელთან ერთად გაერთიანებულია სოფელ უკანამსარის კოლმეურნეობაში და, სადაც 35 წლის განმავლობაში თვამეჯდომარედ უცვლელად მუშაობს სანდრო ჩიტიშვილი, — მეურნეობაში გაერთიანდა მხოლოდ 1.350 სული ცხვარი და 85 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ახლა კი სოფელ უკანამსარის კოლმეურნეობა ითვლის 14.393 სულ ცხვარს, მათ შორის 7.021 დედაცხვარს და 236 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. კოლმეურნეობის განკარგულებაშია ტრაქტორებისა და ავტომანქანების დიდი პარკი.

რაიონში მეცხვარეობას მისდევენ სოფლების დადიანეთის, ბალაანის, ლარგვისის, დორეთკარის, უკანამსარის კოლმეურნეობები და ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც 83.000-ზე მეტ ცხვარს ითვლიან.

განვლილი ორი წლის მანძილზე შევძელით საზოგადოებრივი ცხვრის ფარებისათვის მიგვემატებინა 22 ათასი სული, აქედან 1970 წელს 16.641 სული. 1970 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში 38.800 სული დედაცხვრიდან მიღებული და შენარჩუნებულია 35.935 ბატკანი, ანუ ყოველ 100 სულ ნირაზე 93 ბატკანი, რაც 31 სულით აღემატება 1969 წლის მაჩვენებელს. ცხვრის საგაზაფხულო და საშემოდგომო პარსვის შედეგად მიღებულია მატყლის უფრო ხელხვავიანი კანძები, ვიდრე უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე. სოფელ უკანამსარის კოლმეურნეობა „საქართველომ“ სახელმწიფოს მიჰყიდა 339 ცენტნერი მატყლი, გეგმა 120,5 პროცენტით შეასრულა, სოფელ ლარგვისის კოლმეურნეობამ 192 ცენტნერი, გეგმა 109 პროცენტით გაანაღდა. სულ რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში თვითეული მოზრდილი ცხვრის ნაპარამი შეადგინა 2,2 კილოგრამი. საზოგადოებრივი მეურნეობებიდან სახელმწიფოს მიეყიდა 1659 ცენტნერი მატყლი, რაც გეგმის 101,5 პროცენტს შეადგენს. კოლმეურნეობებმა მატყლის შესყიდვის სახელმწიფო დავალება გაანაღდეს 110 პროცენტით.

ნამატის მიღებისა და მატყლის გამოსაყოლიანობის გადიდების საქმეში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მეცხვარეობის ცალკეულმა ბრიგადებმა და მეცხვარეებმა.

ადგილობრივმა საბჭოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საჭირო ღონისძიებები განახორციელეს მეცხვარეობის მუშაკებისათვის საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. ყველა ფერმა საზამთრო საძოვრებზე უზრუნველყოფილია მწყემსთა საცხოვრებელი სახლებით, ტანსაცმლით, რადიომიმღებებით. მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა პირუტყვის სადგომების მშენებლობისა და კაპიტალური შეკეთებისათვის. სოფლების ლარგვისს, უკანამსარის, დადიანეთის, ბალაანის კოლმეურნეობებში და ლენინგორის საბჭოთა მეურნეობაში გასულ წელს დაიდგა 13 ფარეხი 13.000 სული ცხვრისათვის.

ახლა რაიონში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრისათვის. ლენინგორელი მეცხვარეების ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა მაღალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ ეს ღირსშესანიშნავი თარიღები, ამრავლონ ცხვარი — ჩვენი ბარაქა.

თ. დურგლიშვილი,
ლენინგორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, კონფერენციის დელეგატი.

მოდის ვაშლი ძარწყემისა

ხეხილის ბაღები, ჩვენი ფულადი შემოსავლის ძირითადი წყარო ხდება.

ეს ბაღები მხოლოდ უკანასკნელ წლებში გავაშენეთ 118 ჰექტარზე. მათს გაშენებას ამაგი დასდეს კომუნისტებმა და უპარტიოებმა, მათ შორის ზალიკო და მიშა მეტრეველებმა, ლენტო ჭოველიძემ, ზალიკო გოგიძემ. სასიხარულოა, რომ ხეხილის ბაღი ირწყვის მექანიკური წყალსაჭაჩით, რომელიც მდინარე ლიახვზე მოეწყო 1961-1962 წელში ადგილობრივი პარტორგანიზაციისა და კოლმეურნეობის გამგეობის ინიციატივით. საქმე ის არის, რომ საუკუნეების განმავლობაში მდინარე ლიახვი ჩვენი მიწების გვერდით მიედინებოდა, მაგრამ მოირწყვის საშუალება არა გვქონდა. და აი, მექანიკურმა წყალსაქაჩმა, რომლის გამართვა ორ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა, ახალი სიცოცხლე მისცა ძარწყმ-ქეშერტის მიწებს.

მიხეილ გოგიძის ბრიგადა 40 ჰექტარ ხეხილის ბაღს უვლის, ივანე ჭოველიძის ბრიგადა — 35 ჰექტარს, მიხეილ მეტრეველის ბრიგადა კი 38 ჰექტარს. ხეხილის ბაღებიდან ჯერჯერობით მსხმოიარობაში შევიდა 15 ჰექტარი. შარშან სახელმწიფოს უკვე მივყიდეთ 75 ტონა ხილი ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 28 ტონისა. ყველაზე კარგი ხარისხის ხილის მოყვანით თავი გამოიჩინა მიხეილ გოგიძის ბრიგადამ.

მაღლიერებით გავაცილეთ ძველი წელი, რწმენით და ნათელი პერსპექტივებით შევხვდით ახალ, 1971 წელს. გვაქვს რეალური გეგმები. მათგან აღვნიშნავ, რომ ამ წელს მივიღებთ და სახელმწიფოს მივყიდით 200 ტონა ძარწყმულ ვაშლს, კურკოვანებს კი 18 ტონას. გვახარებს ის ამბავი, რომ მიმდინარე ხუთწლედში ჩვენი ხეხილის ბაღები მთლიანად შევა სრულ მსხმოიარობაში. ამის შემდეგ ყოველწლიურად სულ ცოტა 1.000-1.200 ტონა საუკეთესო ხარისხის ხილს მივიღებთ. ეს კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი კოლმეურნეობის ფულად შემოსავალს, რომლის კვალობაზე, რა თქმა უნდა, გაიზრდება კოლმეურნეთა შრომითი ანაზღაურებაც.

ვ. გუგიანიშვილი,
ცხინვალის რაიონის სოფელ ძარწყმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სამხრეთ ოსეთის სიახლენი





სურათებზე (მარცხნიდან): ძ. ცხინვალი. უნივერმაღის შენობა თავისუფლების მოედანზე; დაბა კვაისა. სასტუმრო, რომლის ექსკლუზიტაცია დაიწყო ახალი წლის წინადღეებში; ჯავა, რაიონული ცენტრი.

ფოტო მ. ალბოროვისა.

მსოფლიო დღე

ბულგარეთი

ვ. ი. ლენინის ძეგლი სოფიაში

სოფია. 7 იანვარი. (საკდესი). ბულგარეთის მთავრობის გადაწყვეტილებით სოფიაში აღიმართება ვ. ი. ლენინის ძეგლი. მისი შექმნა დაეკალათ საბჭოთა მოქანდაკეს ლ. ე. კერბელსა და ბულგარელ არქიტექტორს პ. ტაშევს. რუხი გრანიტისაგან გამოკვეთილი ვ. ი. ლენინის ძეგლი დაიდგმება ქალაქის ცენტრში.

კოლონეთი

მეგობრობა მტკიცდება

ჰარშავა. 7 იანვარი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის საგანგებო იუწყება, 6 იანვარს გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. იაროშევიჩის შეხვედრის შესახებ.

პოლიტბიუროს კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შეხვედრის შედეგები, რომელმაც ურთიერთგაგებისა და გულითადი მეგობრობის სულისკვეთებით ჩაიარა, ხელს შეუწყობენ ორი პარტიის — კავშირის შემდგომ განმტკიცებასა და პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ძმურ პოლიტიკურ, ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას.

მონღოლეთი

იუბილეს შესახვედრად

ულან-ბაგორი. 7 იანვარი. (საკდესი). მონღოლეთის კომუნისტები, ყველა შრომელი აქტიურად ემზადებიან ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის 50 წლისთავისათვის, რომელიც მიმდინარე წლის 1 მარტს სრულდება. სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, სახელმწიფო მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებში დაიწყო წინასაიუბილეო შრომითი ვახტი.

მშვიდობისათვის ახლო აღმოსავლეთში

ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი

◆

რომი. 7 იანვარი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ამ დღეებში გაიმართა ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული სხდომა.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისრაელის თანხმობა გაიაზლოს კონტაქტები იარინგის მეშვეობით, პოზიტიური ნაბიჯია, ამასთანავე მათ ხაზი გაუსვეს, რომ ისრაელის მთავრობის პოზიცია დიდ შეშფოთებას იწვევს. იქმნება შთაბეჭდილება, აღნიშნულია ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში, რომ ისრაელის მთავრობა ცდილობს განაგრძოს თავისი უწინდელი ხაზი — თავი აარიდოს ყოველგვარი სერიოზული ღონისძიების განხილვას უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციის შესასრულებლად და არ აპირებს უარი თქვას არაბული ტერიტორიების ანექსიაზე.

ეს პოლიტიკა, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა, მას რომ მხარს არ უჭერდეს ამერიკის შეერთებული შტატები, ემსახურება იმპერიალისტების ინტერესებს, მიზნად ისახავს შეისუსტოს არაბული ქვეყნების ანტიიმპერიალისტური ბრძოლა.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს გაერთიანდნენ და გააძლიერონ ბრძოლა გ. იარინგის მეშვეობით კონტაქტების წარმატებისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის ახლო აღმოსავლეთში.

ისრაელის კომუნისტებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ავრეთვე ანტისაბჭოთა ცილისწამების კამპანიის წინააღმდეგ, რომელიც გააჩაღეს ტელ-ავივმა და საერთაშორისო სიონისტურმა წრეებმა. ანტისაბჭოთა ცილისმწამებლები, ნათქვამია ამის გამო მიღებულ გადაწყვეტილებაში, პროგრესისა და მშვიდობის საქმის მტრები არიან, იმპერიალიზმს ემსახურებიან.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო სამხმარბერო საქონლის ფასების ზრდა და გადასახადების გადიდება ტელ-ავივის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგად.

ნიუ-იორკი — მკვლელის აღსარება

ნიუ-იორკი. 7 იანვარი. (საკდესი). ჟურნალმა „ესკუაირმა“ გამოაქვეყნა ლეიტენანტ კოლის ეგრეთ წოდებული „აღსარებათა“ მეორე ნაწილი. როგორც ვიცით, კოლის ბრალად ედება სამხრეთ ვიეტნამის სონგმის თემის 102 უმწეო მოხუცის, ქალისა და ბავშვის წინასწარგანზრახული მკვლელობა.

